



Medical

არასაკონკურსო დოპინგ-  
კონტროლის  
პროცედურების  
ადაპტაცია COVID-19-ის  
პანდემიის დროს

2020 წლის 29 მაისი



## შესავალი

ეს არის მსოფლიო რაგბის მიერ შემუშავებული რესურსი, რომელიც განმარტავს ანტი-დოპინგის ტესტირების პროცედურებს COVID-19-ის პანდემიის დროს და უზრუნველყოფს რაგბის კოლექტიურ აქტივობებში უსაფრთხო დაბრუნებას. ეს არის მუდმივად განახლებადი დოკუმენტი, რომელიც რეგულარულად განახლდება, რადგან ეს სწრაფად განვითარებადი სიტუაცია გამუდმებით იცვლება და მას ხშირად უნდა გავეცნოთ, რომ არ გამოგვრჩეს ცვლილებები და მოვლენები. შემდეგი რჩევა გაიცემა საკონკურსო ტესტირებისთვის, როდესაც შეჯიბრი განახლდება.

პროცედურები შეესაბამება, სულ მცირე და ძირითადად, მსოფლიოს ანტი-დოპინგის სააგენტოს (WADA) დოკუმენტს: COVID-19: ანტი-დოპინგის ორგანიზაციის 2020 წლის 6 მაისის სახელმძღვანელო ტესტირების გაგრძელების შესახებ <sup>1</sup> და შემდგომი განახლებები. ყველა პროცესი ექვემდებარება ადაპტაციას ეროვნული ანტი-დოპინგის ორგანიზაციის (NADO) ან მომსახურების კერძო მომწოდებლის (PSP) მიერ, მოქმედი სახელმწიფო პროცედურებისა და შეზღუდვების შესაბამისად.

### ვინ უნდა წაიკითხოს ეს დოკუმენტი?

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ძირითადად წევრი კავშირებისთვის, რომელთა მოთამაშეებიც შეარჩიეს მსოფლიო რაგბის არასაკონკურსო ტესტირების ნაკადისთვის (TP), თუმცა ყველა გუნდი მზად არის მსოფლიო რაგბის ან ეროვნული ანტი-დოპინგის ორგანიზაციის (NADO) მიერ ტესტირებისთვის ნებისმიერ დროს, მაშინაც კი, თუ ისინი არ შედიან TP-ში. კავშირებმა და კლუბებმა უნდა გამოიყენონ წინამდებარე სახელმძღვანელო, რომ უზრუნველყონ გუნდის პერსონალისა და მოთამაშეების შესაბამისი მომზადება გაუფრთხილებელი არასაკონკურსო ტესტირებისთვის პანდემიის დროს.

### რას წარმოადგენს ეს დოკუმენტი?

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს პრინციპებს და პროცესებს, რომლებიც უკავშირდება მსოფლიო რაგბის მიერ წამოწყებულ ანტი-დოპინგის ტესტირებას, სანამ COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვები კონტაქტზე ძალაშია. იგი განმარტავს, თუ როგორ გამოიყენება სტანდარტული პროცედურები, რომ მოხდეს მოთამაშეების, გუნდის პერსონალისა და კონტროლის ოფიცრების მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა არასაკონკურსო ტესტირებისთვის, რომელიც ჩატარდება მოთამაშეების სახლებში და როდესაც ისინი დაუბრუნდებიან გუნდურ ვარჯიშს.

### 1. არასაკონკურსო ტესტირების პრინციპები ათეულისთვის (ან მცირე ჯგუფისთვის)

- ტესტირება ჩატარდება შერჩეულ მოთამაშეებს ან გუნდის პერსონალს წინასწარი გაფრთხილების გარეშე, WADA-ს ტესტირებისა და გამოკვლევების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISTI).

<sup>1</sup> იხილეთ [https://www.wada-ama.org/sites/default/files/resources/files/20200506\\_ado\\_guidance\\_resuming\\_testing\\_en.pdf](https://www.wada-ama.org/sites/default/files/resources/files/20200506_ado_guidance_resuming_testing_en.pdf)



- მსოფლიო რაგბი მჭიდროდ ითანამშრომლებს NADO-სთან ან PSP-სთან, რომელთაგანაც გააფორმებს ხელშეკრულებას, რათა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის უსაფრთხოება და WADA-ს COVID-19 სახელმძღვანელოს მიხედვით შესაბამისი ზომების მიღება.
- ყველა NADO ან PSP, რომლებსაც ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული მსოფლიო რაგბისთან, მჭიდროდ იმუშავენ გუნდთან და სავარჯიშო დარბაზის პერსონალთან ადგილზე, ნებისმიერი დამატებითი დარბაზის და/ან სავარჯიშო შეზღუდვების მართვისთვის.

## 2. სინჯების შემგროვებელი პერსონალის (SCP) დანიშვნა

მსოფლიო რაგბი გამოიყენებს მხოლოდ ისეთი NADO-ს ან PSP-ს მომსახურებას, რომლებიც ეთანხმებიან და იცავენ WADA-ს სახელმძღვანელოს დებულებებს COVID-19-თან დაკავშირებული პერსონალის დანიშვნის შესახებ, რაც მოიცავს შემდეგს:

- SCP, რომელიც არის „რისკ-ჯგუფის“ ან „დაუცველი“ კატეგორიის წევრი, არ მიიღებს ტესტირების მისიაში მონაწილეობას.
- თუ ეს დასაშვებია მონაცემთა დაცვის, ჯანმრთელობისა და დასაქმების შესახებ კანონმდებლობით, SCP-მ უნდა დაადასტუროს ტესტირების მისიის დაწყებამდე, რომ:
  - მათ არ აქვთ COVID-19-ის ან მასთან დაკავშირებული სიმპტომები, თუნდაც მსუბუქი, და არ ელოდებიან ტესტის პასუხს.
  - მათ არ ჰქონდათ კონტაქტი ისეთ პირებთან, ვისაც მათი ცნობებით დადასტურებული ჰქონდათ COVID-19-ის ან მასთან დაკავშირებული სიმპტომები, ან ელიან COVID-19-ის ტესტის ჩატარებას (ან ტესტის შედეგს).
  - მათ არ ჰქონდათ კონტაქტი ისეთ პირებთან, რომლებიც იმყოფებიან თვითიზოლაციაში ან კარანტინში, სახელმწიფოს მითითებების მიხედვით.
- მსოფლიო რაგბი ჩაინიშნავს SCP დადასტურებებს თითოეული ტესტირების მისიისთვის.
- არცერთი SCP, რომელსაც დადასტურებული ჰქონდა COVID-19-ის შემთხვევა, არ დაინიშნება ტესტირების მისიაზე ინფექციის დადასტურებიდან 14 დღის ვადაში.
- მსოფლიო რაგბის აკრედიტირებული დოპინგ-კონტროლის ოფიცრები შესაძლოა დაინიშნონ ტესტირების მისიის ჩასატარებლად. ასეთ შემთხვევებში, პროცედურები ჩატარდება წინამდებარე დოკუმენტის დებულებების მიხედვით, რომლებიც ექვემდებარება ცვლილებებს სახელმწიფოს მითითებებთან შესაბამისობის მიზნებისთვის.

## 3. პირადი დაცვის აღჭურვილობა (PPE)

NADO-სთან ან PSP-სთან ხელშეკრულების გაფორმებისას, მსოფლიო რაგბი მოითხოვს დასტურს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი გამოყენებული/შესრულებული იქნება, როგორც სტანდარტი SCP-სთვის:

- i. ხელთათმანები (SCP-სთვის და მოთამაშეებისთვის).
- ii. პირბადეები (SCP-სთვის და მოთამაშეებისთვის).
- iii. დასუფთავების/სადეზინფექციო საშუალებები სინჯის ასაღებად განკუთვნილი ზედაპირების გასაწმენდად. ზედაპირისთვის შესაძლებელია სუფთა, მაგიდის ერთჯერადი გადასაფარებლის გამოყენება.

#### 4. სანიტარიასთან, დისტანცირებასა და აღჭურვილობასთან დაკავშირებული ზოგადი პუნქტები

- მოთამაშეებს (და გუნდის პერსონალს, საჭიროების შემთხვევაში), SCP ურჩევს დაიცვან დისტანცირების ყველა ზომა ტესტირების სესიის დაწყებამდე.
- SCP-სთვის რეკომენდებულია შეინარჩუნოს მინიმუმ ერთ მეტრიანი დისტანცია (ან უფრო მეტი დისტანცია, თუ ამას განსაზღვრავს ჯანმრთელობის ეროვნული ორგანო) მასსა და მოთამაშეს შორის, რამდენადაც ეს შესაძლებელია პრაქტიკაში.
- უშუალო კონტაქტი თავიდან იქნება აცილებული, სადაც ეს შესაძლებელია, გარდა ზოგიერთი აუცილებელი პროცედურისა (მაგალითად, სისხლის აღება ან შარდის სინჯის უზრუნველყოფაზე უშუალო დაკვირვება).
- მოთამაშეებს მოეთხოვებათ გამოიყენონ საკუთარი კალმები დოკინგ-კონტროლის ფორმების შესავსებად. გთხოვთ, უზრუნველყოთ ახალი/დეზინფიცირებული კალმების მარაგი სავარჯიშო დარბაზში.
- SCP დაიბანს ხელებს საპნით ან ხელის სანიტარული საშუალებით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მითითებების შესაბამისად, ტესტირების დაწყებამდე და მას შემდეგ, და მოსთხოვს მოთამაშეებს ასევე მოიქცნენ.
- ყველა ერთჯერადი მასალა დაილუქება და უსაფრთხოდ გადაიყრება ტესტის დასრულების შემდეგ SCP-ს მიერ, ბიოლოგიური საფრთხის შემცველი მასალების ჩათვლით.
- ტესტირებისთვის გამოყოფილ ზედაპირს SCP დაასუფთავებს და მოახდენს მის დეზინფიცირებას ტესტირების ჩატარებამდე და მას შემდეგ, თუ მაგიდის ერთჯერადი გადასაფარებელი არ იქნება უზრუნველყოფილი SCP-ს მიერ.

#### 5. ინფიცირების/გადაცემის რისკი სახლში ტესტირებისას

ეროვნული ვარიაციების/პროტოკოლების თანახმად, რომლებსაც იცავს NADO ან PSP, მსოფლიო რაგბი მოითხოვს, რომ ყველა SCP-მ, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმებულია, დაიცვას შემდეგი პირობები მოთამაშის სახლში ჩატარებული ტესტირების ყველა მისიის დროს.

- ტესტირების დაწყებამდე SCP მოსთხოვს მოთამაშეს დაადასტუროს, რომ:
  - მას არ აქვს COVID-19-ის ან მასთან დაკავშირებული თუნდაც მსუბუქი სიმპტომები და არ ელოდება COVID-19-ის ტესტის ჩატარებას (ან ტესტის პასუხს).
  - მას არ ჰქონდა კონტაქტი ისეთ პირებთან, ვისაც მისი ცნობების თანახმად დადასტურებული ჰქონდათ COVID-19-ის ან მასთან დაკავშირებული სიმპტომები, ან ელიან COVID-19-ის ტესტის ჩატარებას (ან ტესტის შედეგს).
  - მას არ ჰქონდა კონტაქტი ისეთ პირებთან, რომლებიც იმყოფებიან თვითიზოლაციაში ან კარანტინში COVID-19-ის გამო, სახელმწიფოს მითითებების თანახმად.
  - იგი არ მიიჩნევა მაღალი რისკის მქონე ჯგუფის წევრად COVID-19-ით ინფიცირებასთან დაკავშირებით.

ამის დოკუმენტირება მოხდება ვერბალური კითხვარის სახით.

- მოთამაშის პასუხზე დაყრდნობით SCP გადაწყვეტს, ჩატაროს თუ არა ტესტირება. ამასთან, მოთამაშეს მოეთხოვება უზრუნველყოს, რომ სახლში მყოფი ნებისმიერი პირი, რომელიც მიჩნეულია მაღალი რისკის მქონე ჯგუფის წევრად, დარჩება ცალკეულ ოთახში და არ დაამყარებს მოთამაშესთან ან SCP-სთან კონტაქტს ტესტირების პროცესის დროს.
- მოთამაშეს მოეთხოვება კითხვარზე გასცეს გულწრფელი პასუხი, მისი ცოდნის მაქსიმალური მონაცემების შესაბამისად. შედეგები გადაეცემა მსოფლიო რაგბის.



- მსოფლიო რაგბი შესაძლოა დაუკავშირდეს მოთამაშეს და/ან მოთამაშის გუნდის ექიმს, SCP-სთვის წარმოდგენილი პასუხების სიზუსტის დასაზუსტებლად.
- iv. თუ მოგვიანებით დადგინდა, რომ მოთამაშის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი ინფორმაცია აღმოჩნდა არაზუსტი ან არასწორი, ეს შეიძლება ჩაითვალოს როგორც ADRV (ფალსიფიცირება ან ფალსიფიცირების მცდელობა). მოთამაშეებს შეახსენებს SCP ამის შესახებ, და რომ ეს ექვემდებარება ოთხწლიან სანქციას.
  - v. NADO-ებს ან PSP-ებს შეუძლიათ მოსთხოვონ მოთამაშეს ტესტის ჩატარება ტესტირების მობილურ სადგურში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
  - vi. SCP არ შეეხება კარის სახელურებს და ამგვარ ქცევას ყველა შემთხვევაში მოსთხოვს მოთამაშეს.

#### 6. დოპინგ-კონტროლის სადგურები სავარჯიშო დარბაზებში

- მსოფლიო რაგბის ყველა მოთხოვნა შესაბამისი ოთახის/სივრცის გამოყოფის შესახებ დოპინგ-კონტროლის სადგურისთვის რჩება ძალაში და 21-ე რეგულაციის შესაბამისად.
- ყველა სავარჯიშო დარბაზში გუნდებმა უნდა უზრუნველყონ სუფთა და უსაფერისი სივრცე, რომლის გამოყენება შესაძლებელია დოპინგ-კონტროლისთვის, როდესაც SCP მივა ტესტირების ჩასატარებლად. სადაც შესაძლებელია, სივრცეში უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო დისტანცია მოთამაშესა და DCO-ს შორის, მათ შორის მოსაცდელი სივრცე შესაბამისად განლაგებული სკამებით.

#### 7. მოთამაშეები და გუნდის პერსონალი, რომლებიც დაინფიცირდნენ COVID-19-ით დოპინგ-კონტროლის შემდეგ

- თუ რომელიმე მოთამაშე ან გუნდის მხარდამჭერი პერსონალი დაინფიცირდა COVID-19-ით ტესტირების შემდგომ პერიოდში, გთხოვთ, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეთ მსოფლიო რაგბის, რომ ეს ინფორმაცია გადაეცეს NADO-ს ან PSP-ს, ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.
- მეორე მხრივ, თუ მსოფლიო რაგბის NADO ან PSP აცნობებს, რომ DCO დაინფიცირდა COVID-19-ით ტესტის დასრულების შემდგომ პერიოდში, ამის შესახებ მსოფლიო რაგბი დაუყოვნებლივ აცნობებს წევრ კავშირს ან შესაბამის გუნდს.

თუ შეკითხვები გაქვთ წინამდებარე დოკუმენტში ხსენებული პროცესების შესახებ, გთხოვთ, დაუკავშირდეთ დევიდ ჰოს ([david.ho@worldrugby.org](mailto:david.ho@worldrugby.org)) ან სტიუარტ კელის ([stuart.kelly@worldrugby.org](mailto:stuart.kelly@worldrugby.org)) მსოფლიო რაგბის ანტიდოპინგის განყოფილებაში.